ხელშეკრულება № 29/07/4
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 29 ივლისი 2016 წ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ„ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით.

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია წარმოდგენილი თავმჯდომარის უფლებამოსილი პირის (ცესკოს თავმჯდომარის 2015 წლის 31 დეკემბრის #01-107 ბრძანება) თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შარაბიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს „ალმა“ წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ტრაპაიძის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა დაბეჭდოს შემსყიდველის სარეკლამო მასალა და განათავსოს მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ სარეკლამო კონსტრუქციაზე, შემდგომში "მომსახურება", ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. მომსახურების ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 59311.65 (ორმოცდა ცხრამეტი ათას სამას თერთმეტი ლარი და სამოცდა ხუთი თეთრი) ლარი.

2.2 მომსახურების დეტალური ხარჯთაღრიცხვა (სარეკლამო კონსტრუქციის მდებარეობა, სარეკლამო კონსტრუქციების რაოდენობა, გვერდების რაოდენობა ზომა, სარეკლამო მომსახურების ვადა) მოცემულია დანართ N1-სა და დანართ N2-ში, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარება

3.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს გაწეული მომსახურების მიხედვით.

4. მომსახურების მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მათი განთავსება განხორციელდება 2016 წლის 15 აგვისტოდან - 2016 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილი: დანართ N2 - ით განსაზღვრული მისამართები.

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულების 3.2 პუნქტის მიხედვით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 მიმწოდებლმა თავისი მიზეზით სარეკლამო კონსტრუქციის დაზიანების შემთხვევაში, (გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა) დაზიანების გამოვლენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს დაზიანებული სარეკლამო კონსტრუქციის აღდგენა და მისი პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა;
10.2 მიმწოდებელმა სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებული შემსყიდველის სარეკლამო მასალის დაზიანების ან მოპარვის გამოვლენის შემთხვევაში ამ გარემოების შეტყობიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში აცნობოს შემსყიდველს;

10.3 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.4 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10.5 მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევისთვის დაგვიანებით გაწეული მომსახურების ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გასწიოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ მუხლის 11.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიღებული მომსახურების ღირებულება.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს გადაამოწმოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი: ქ. დანგაძე

12.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.3. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ``ფორს-მაჟორი`` ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც

გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით ჩათვლით.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	**მიმწოდებელი**
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	**შ.პ.ს.”ალმა”**
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. # 74/11
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509	(მოსაშვილის 11)
ტელ: (995 32) 2510051	საიდენტიფიკაციო კოდი: 204873388
სახელმწიფო ხაზინა	სს “საქართველოს ბანკი”
ანგ №200122900; კოდი: 220101222	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ანგ № GE 20 BG00 0000 0361 5728 00
გიორგი შარაბიძე	**გიორგი ტრაპაიძე**
თავმჯდომარის მოადგილე	**დირექტორი**

დანართი 1

№	სარეკლამო კონსტრუქციის მდებარეობა, ტიპი, ნომერი, გვერდების რაოდენობა, ზომები და ფართობი	CPV კოდი	ბეჭდვის ღირებულება
1	ქ. თბილისი, მეტრო ვარკეთილთან, ბილბორდი № 61.1., 1 გვ. ზომები 6X3, 18 კვ.მ.	79820000	380.70
2	ქ. თბილისი, შეშელიძის ქ. გლდანის შესასვლელი კუნძულზე, ბილბორდი № 77.1., 1 გვ. ზომები 6X3, 18 კვ.მ.		380.70
3	ქ. თბილისი, გელოვანის გამზ. გამყოფ. ზოლში, ბილბორდი № 101.1., 1 გვ. ზომები 6X3, 18 კვ.მ.		380.70
4	ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. მ/ს წერეთელთან, ბილბორდი № 108.2., 1 გვ. ზომები 6X3, 18 კვ.მ.		380.70
5	ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. დასაწყისი, ბილბორდი № 260.1, 260.2., 2 გვ. ზომები 21X2.5, 105 კვ.მ.		2218.40
6	ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. ხვამლის ქ. კუთხე, ბილბორდი № 118.2., 1 გვ. ზომები 6X3, 18 კვ.მ.		380.70
7	ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი (სანტესთან) ხიდი № 166.1, 166.2., 2 გვ. ზომები 35X2.5, 175 კვ.მ.		3701.25
			7823.15

„შემსყიდველი“
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო
კომისია

მიმწოდებელი
შ.პ.ს."ალმა"

გიორგი შარაბიძე

გიორგი ტრაპაიძე

თავმჯდომარის მოადგილე

დირექტორი

დანართი 2

№	სარეკლამო კონსტრუქციის მდებარეობა, ტიპი, ნომერი, გვერდების რაოდენობა, ზომები და ფართობი	CPV კოდი	განთავსების პერიოდი (ორივე თარიღის ჩათვლით)	განთავსების თვიური ღირებულება	განთავსების მთლიანი ღირებულება
1	ქ. თბილისი, მეტრო ვარკეთილთან, ბილბორდი № 61.1., 1 გვ. ზომები 6X3, 18 კვ.მ.	79341000	15.08.2016.-14.10.2016.	1496.95	2993.90
2	ქ. თბილისი, შეშელიძის ქ. გლდანის შესასვლელი კუნძულზე, ბილბორდი № 77.1., 1 გვ. ზომები 6X3, 18 კვ.მ.			1496.95	2993.90
3	ქ. თბილისი, გელოვანის გამზ. გამყოფ. ზოლში, ბილბორდი № 101.1., 1 გვ. ზომები 6X3, 18 კვ.მ.			1496.95	2993.90
4	ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. მ/ს წერეთელთან, ბილბორდი № 108.2., 1 გვ. ზომები 6X3, 18 კვ.მ.			1496.95	2993.90
5	ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. დასაწყისი, ბილბორდი № 260.1, 260.2., 2 გვ. ზომები 21X2.5, 105 კვ.მ.			7155.75	14311.50
6	ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. ხვამლის ქ. კუთხე, ბილბორდი № 118.2., 1 გვ. ზომები 6X3, 18 კვ.მ.			1496.95	2993.90
7	ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი (სანტესთან) ხიდი № 166.1, 166.2., 2 გვ. ზომები 35X2.5, 175 კვ.მ.			11103.75	22207.50
					51488.5

„შემსყიდველი“
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო
კომისია

მიმწოდებელი
შ.პ.ს.”ალმა”

გიორგი შარაბიძე

გიორგი ტრაპაიძე

თავმჯდომარის მოადგილე

დირექტორი